29/1919

კოლდ

პარასკევი, იანვარის 24. (იანვარის 11). 1919 წელი.

№ 14.

ფასი 50 კაპ.

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ყოველ-დღიური

„კლდე“

გაზეთი

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით. გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მოთიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, ხახახლის ქ. № 6

ტელეფონი № 18—31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია (გაზეთ „კლდის“ მიმართულება) საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და ქალაქ თბილისის საბჭოს არჩევნებში გამოდის „საქართველოს ეროვნული პარტიის“ სიით

№ 8

წერილები

მეთაური. ათი წუთი

გ. ვეშაპელი. სიტყვა პარლამენტში მიწის საკითხზე

კ. კაპანელი. ერის იდეალი.

განდეგილი. ეროკლეს ხული (ლექსი)

ცნობები.

საქართველოს ბაზავო დელეგაციამ დარდანელი გაიარა

ბაზავო კონფერენციამ სამხრეთ-სლავიანთა საკითხი

ფილიანდიელები ესტლიანდიას სახელმწიფოს სწმენდენ ბოლშევიკებისაგან

მოხალისეთა არმია ბოლშევიკებზე იმარჯვებს.

აფხაზეთში რუსებმა შეთქმულება მოაწყვეს.

შეთქმულნი შეიპყრეს.

ახალციხეში არეულობაა

დაშნაკცუტუნის პარტიამ ბოიკოტი გამოაცხადა თბილისის საქალაქო არჩევნებში.



სად რამდენი მიწაა საქართველოში?

თბილისი 3 აპრილის 24.

ათი წუთი.

სოციალ-დემოკრატიულ „აგრარულ კანონპროექტის“ განხილვამ პარლამენტში უცნაური მიმართულება მიიღო.

კანონპროექტის საერთოდ დახასიათების დროს რამოდენიმე დღე ილაპარაკეს ყველა ჯგუფის სოციალისტებმა. ლაპარაკობდნენ უსაზღვროდ, დროს შეუზღვუდველად. ლაპარაკობდნენ მარქსზე, ენგელსზე, ლასალზე, შარლეიდზე, ბურიატებზე, კირგიზებზე, ურალზე, კამჩატკაზე, იაპონიაზე, შვეიცარიზე, და სხვა. კრინტი, არ დასძრეს თვით საქართველოზე, მის ეკონომიურ, პოლიტიკურ და სხვა ამ პირობებზე, რომელიც გამოარკვევდა თუ რამდენად შეეფერებოდა ეს „კანონპროექტი“ ქართველ ხალხის ზრახვას ლტოლვას. ცხადია ამ უკანასკნელს სათანადო პასუხს გასცემდნენ და გააშუქებდნენ ეროვნულ პარტიის ფრაქციის წევრები... და პარლამენტისათვის ძალიან საჭირო იყო მათი აზრის და რჩევის მოსმენა და არა შარლ ჟიდებისა. მაგრამ როცა მე 3 თუ 4 დღეს ჯერი მიდგა მათზე სოციალ-დემოკრატების უმრავლესობამ გადასწყვიტა გარდა ერთი ორატორისა, რომელსაც მარტო ერთი საათი მიუსაჯა დანარჩენებისათვის დრო ოც წუთამდის შეემოკლება.

და როდესაც პარლამენტი ამ კანონპროექტის მუხლობრივ განხილვაზე გადავიდა დრო კამათისა სოციალ-დემოკრატიამ 10 წუთით შეზღუდა.

ცხადია რა მიზანი ჰქონდათ პარლამენტის მმართველ სოციალისტურ ფრაქციას: არ მიეცა საშუალება ნაციონალისტური ოპოზიცია გამოსულიყო პარლამენტის ტრიბუნაზედ სათანადო კრიტიკით მრავალ საბუთებით და ციფრებით ააჩქაროს შეხანხლილი სოციალისტ. კანონპროექტის გასაბათილებლად. მიუხედავად დამოუკიდებელ ნაც.-დემოკრატების პროტესტისა, რომ მათაც ჩვეულებრივ წესით არ ალაპარაკეს და არ ალაპარაკებენ კანონპროექტის განხილვას ნორმალურ დროს განმავლობაში სოციალ-დემოკრატიამ არ შეიწყნარა ეს სამართლიანი პროტესტი და მაინც ათი წუთი მიუსაჯა. ათ წუთში პარლამენტის ოპოზიციის წევრს უნდა გაერკვია და განეხილა კანონპროექტია ის მრავალი მუხლები, რომელნიც სწყვეტდნენ ჩვენი ქვეყნის ყოფნა არ ყოფნის საკითხს—მიწის საკითხს.

ათ წუთში კანონმდებელს უნდა სათანადოთ გაერჩია ისეთი კითხვები როგორიცაა ექსპროპრიაცია მოგროვილ ფონდისა საკუთრების შეზღვუდვის, მიწის დანაწილების, კოლონიზაციის და სხვათა დასხვათა ძირითად კითხვების ჩვენი სახელმწიფოს არსებობისა. ეშურებოდნენ არჩევნებისათვის: ეშურებოდნენ სადე ზმაგოგიოდ გამოყენებისათვის ოპოზიციის „უძლურებისა“ და ხალხში ხმების გატანისათვის, რომ ოპოზიციას არაფერი სათქმელი არ ჰქონდა და დამარცხდაო.

სოციალ-დემოკრატიის ძალადობა არ ახალია, ძველია. მაგრამ სამართლიან კრიტიკის დახრჩობით და დახშობით საუბედურო საქმე არ გაკეთდების და სახელმწიფო არ აშენდების.

ათი წუთი პარლამენტის ოპოზიციისათვის ეს არის ნიშანი ბ-ნ ხომერიკის აგრარულ კანონმდებლობის სიაოტრისა. ათი წუთი სიმართლის თქმისთვის დიდ და საზღაპრო უსამართლობაზე ეს არის ბედის სიმღერა ექსპროპიაციის და საკუთრების დაშლის „სახელმწიფო მოღვაწეობისა“.

ამ ათიწუთიან კანონმდებელ ხალხის ნამოღვაწარ შედეგებს.

გრიგოლ ვეშაპელის სიტყვა. პარლამენტში*).

რადიკალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატების ორატორები მხარს უჭერენ სოციალ-დემოკრატების მიწის კანონ-პროექტს, და ამას იმით ასაბუთებენ, რომ კანონი კერძო საკუთრებას ამტკიცებს და არასოციალისტები და კერძო საკუთრების მომხრენიც ამას უნდა იცავდენო.

ჩვენ კი, ნაციონალისტები. გაზეთ „კლდის“ მიმართულებისა. ვაცხადებთ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ სოციალ-დემოკრატების კანონ-პროექტისა სწორედ იმიტომ, რომ ჩვენა ვართ არასოციალისტები და ვიცავთ კერძო საკუთრებას.

*) ნათქვამი მიწის კანონის განხილვის დროს, იანვარის 20.

მართლაც და რა კერძო საკუთრების დაცვა და სახელმწიფოებრივი ზომა უნდა იყოს ის კანონი, რომ ელიც ადასტურებს ნორმაზე მეტ მამულების ექსპროპრიაციას და ასეთნაირად, ყაჩაღურად, შეგროვილ საადგილ-მამულო ფონდს ჰყიდის ფასით საკუთრებათ?

ჩვენი პროგრამით, როგორც წინადისე ახლა, საჭიროა, რომ სახელმწიფომ საშუალება მისცეს უმამულო და მკირე მამულიანს ქართველს იყიდოს მიწა სრულს საკუთრებად, ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს ხელში საკმაო საადგილ-მამულო ფონდის დაგროვება; ამისათვის ისიც საჭიროა, რომ სახელმწიფომ იძულებით ჩამოართვას ფასის მიცემით მემამულეებს ის მიწა, რომელიც სახელმწიფო მოსაზრებით საჭიროა; ამისათვის ნორმის დაწესებაც არის საჭირო, მაგრამ ეს ნორმა უნდა იქმნას შემოღებული საქართველოს ყოველი კუთხისათვის ცალკე და ისე, რომ არსად მეურნეობის განვითარება არ შეფერხდეს.

ჩვენში კი, საქართველოში, საადგილ-მამულო ფონდი შეადგინეს იმ ნორმით, რომელიც დააკანონა ამიერ-კავკასიის სეიმმა; მაშინ კანონმდებლები ზრუნავდენ ქართველ გლეხზე კი არა, არამედ გამოგონებულ „ზაკავკაზიელ“ გლეხზე და რა გასაკვირია, თუ სეიმის მიწის კანონები მართლაც დასამიწებელი გამოდგა საქართველოსათვის.

რატომ მოხდა ეს ასე?—იმიტომ, რომ

ჩვენი სოციალისტური კანონმდებლები ხელმძღვანელობდენ და ახლაც ხელმძღვანელობენ თავდაპირველად რევოლუციის და არა სახელმწიფოს ინტერესით.

ჩვენ რევოლუციონერებს თავისი კანონები გადმოწერილი აქვთ საფრანგეთის „დიდი“ რევოლუციიდან, რომლის ისტორიის წიგნი მუდამ თვალწინ აქვთ.

საფრანგეთის რევოლუციიდან ისესხეს ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა აზრი მეგამულეთა მიწების კონფისკაციისა და თავად-აზნაურობის ეკონომიურად და პოლიტიკურად „მოსპობისა“, მაგრამ ჩვენი ხომერიკები და ნინიძეები იმით განირჩევიან რობესპიერებიდან და დანტონებიდან, რომ ისინი, ფრანგები, სჯიდენ მხოლოდ მოლალატე თავად—აზნაურობას.

საფრანგეთში მიწების კონფისკაცია—აგრარული რეპრესია, დასჯა იყო მოლალატე—ემიგრანტებისა. 1791 წელს 60,000 ფრანგი აზნაური გაიხიზნა საზღვარ-გარედ და უცხოელი ჯარებით შემოესია სამშობლოს ძველი წესწყობილების აღსადგენათ; ი ამ მოლალატე თავად-აზნაურობის წინააღმდეგ გამოიცა მიწების კონფისკაციისა და სიკვდილით დასჯის დეკრეტი (თუმცა ამ კანონით ემიგრანტების ცოლშვილისა და აგრეთვე კრედიტორების უფლებანი არ ილახებოდა, თუ ისინი საფრანგეთში იყვნენ დარჩენილნი).

სოციალ-დემოკრატიას და მის მაჩანჩალა ეროვნულ-დემოკრატებს (საქართველოელებს) და რადიკალ-დემოკრატებს ალარ უნდათ გაიგონ, რომ ქართულ თავად-აზნაურობამ ემიგრაციით და სამოქალაქო ომით კი არუპასუხა რევოლიუციას არამედ განთავისფლების იდეით სულ ჩადგმულმა ქართლ-კახეთის „ფეოდალებმა“ მთელი თავისი კოლექტიური ქონება ქართველ ერს შეხწირა და საოთავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოს შენობით და ტეხნიკურ აპარატით მოაწყობია სოციალისტურ პარტიებს ეროვნულ საბჭო. ნუ თუ ჩვენი რო ესპირები ერთხელ მაინც არ დაფიქრდნენ, რომ ისინი უკულმა აკეთებენ საფრანგეთის რევოლუციას: საფრანგეთში ემიგრაციას და სამოქალაქო ომს აგრარულ რეპრესიით—კონფისკაციით უპასუხეს, საქართველოში კი აგრარული რეპრესიების და შიმშილის ტერორით მთელ კლასს ხრამში აგდებენ!..

ასე სწირავენ იმ კლასს, რომელმაც რუსების ბატონობის დროს მოაწყო „საადგილ-მამულო კომისია“ მხოლოდ იმისთვის, რომ ქართულ მემამულეთა მიწები უცხოელთა ხელში არ ჩავარდნილიყო და ქართველ გლეხ-კაცს შერჩენოდა.

ამ საადგილ-მამულო კომისიის აპარატს რომ სახელმწიფო ძალა-უფლება ჰქონოდა, დღემდის აგრარული რეფორმა გადაწყვეტილი იქნებოდა მშვიდობიანათ და ქართლ-კახეთის თავისუფალ მიწებზე უკვე საშვილიშვილოდ დასახლებულ იქნებოდა იმერელი გლეხობა.

სოციალ-დემოკრატიის ბელადებს

უფლებიან წარმომადგენელს, ბოძებული აქვს სრული ავტორიტეტი ყველა თავის გამოსვლებში. იმედია, რომ მან გაგაცნოთ ყველა ის დებულებანი, რომლებიც საფუძვლად დაედება ჩვენს აქ ყოფნას. ჩვენ თქვენთან საერთო მტერი გვყავს — ესენია გერმანელები და ბალშევიკები. ორივე ეს ძალა ეწინააღმდეგება კანონიერებას და წესრიგს. ვიმეორებ, ჩვენ მოვედით აქ, როგორც შეომრები. სხვა მოტივები ჩვენ არ გვაქვს. ვაცხადებ, რომ ყოველ. მხრივად დაგეხმარებით, თქვენ კი თქვენის მხრივ უნდა გააკეთოთ ყველაფერი, რის ძალაც კი შეგწევთ. დროებით ზავის თანახმად გერმანელები უნდა წავიდნენ კავკასიიდან და რაც უფრო მალე წავლენ, მით უფრო ჩქარა საბოლოოდ განმტკიცება სიმპატიები ინგლისისა საქართველოსადმი. ერთხელ კიდევ მოგესალმებით თქვენ როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მოკავშირეთა სახელით''.

არეულობა ახალციხეში

ახალციხის მაზრის მცხოვრებლებში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციას აწარმოებენ. ხალხს მოუწოდებენ პროვოკატორები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

არტანიის ოლქის ფოცხოვის რაიონიდან, სადაც დღემდე იქ იმყოფება ოსმალთა ცნობილი გენერალი ხალილ-ბეი, ახალციხის მაზრაში შემოიჭრენ შეიარაღებული ,,ბანდები'', რომელთა შორის მრავლათ არიან ასკერები, დაახევინეს ჩვენს სადარაჯო რაზმებს და დაიკავეს რამდენიმე სოფლები. ამ ბანდებს მეთაურობენ ოსმალთა აგენტები და ადგილობრივი ბეგები. ესენი პროვოკაციის და ტერორის საშვალებით მცხოვრებთ ამხედრებენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გუშინ, 22 იანვარს, ახალციხიდან გენ. ბაყაძეს ცნობა მიიღო: ფოცხის რაიონიდან შემოჭრილი ,,ბანდები'' დამარცხებულ და ვანდევნილ იქნა. ამ ,,ბანდისგან'' განთავისუფლებული სოფლები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მორჩილებას აცხადებენ და ითხოვენ პატიებას. მე მოვითხოვე მათ ნიშნად მორჩილებისა მთელი იარაღის გადმოცემა, რაზედაც მცხოვრებნი დასთანხმდენ.

ახალციხის მაზრაში მომხდარი ამბების გამო საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართა ინგლისის ჯარების მთავარსარდალს და საქმის ვითარება გააცნო, რომ არტაანის ოლქიდან ხალილ-ბეის მეთაურობით საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრენ ოსმალთა ასკერები. ამის საპასუხოთ გენ. მილნმა სთქვა, რომ დაუშვებელია ოსმალეთის მხრით საომარი მოქმედება და მიღებული იქნება ენერგიული ზომები, რათა საქართველოს საზღვარი არტანიის ოლქის მიმართულებით დაცულ იქნასო.

ახალ ცახიდან იუწყებიან: უკანასკნელ კვირაში შემჩნეულ იქნა რაღაც მოძრაობა ჩვენი ტერიტორიის იქით, ფოცხოვის რაიონში- არდაგანის ოლქში.

რამოდენიმე დღის წინად შეიარაღებული ბანდა, ფოცხოვის რაიონიდან, თავს დაეცა ჩვენ მოაჯზღვრე სადარაჯოს და წაიყვანა ტყვეთ 6 ჯარის-კაცი.

არის ცნობები, რომ ბანდაში ურევია ასკერები. ამ მომენტიდან არეულობაა მოსაზღვრე მაჰმადიან სოფლებს შეიარაღებული ბანდის ალგას ახალციხიდან გაგზავნილ იქნა შეიარადებული ძალა.

ხოპის დაჭერის შემდეგ ჩვენი ჯარის ნაწილებს, მოსაზღვრე მთებიდან სროლა აუტეხეს და ეგი იძულებული იქნა სოფ. მორელისაკენ დაეხია. აქ ჩვენი ჯარის ნაწილები ჩაჭერილ იქნა და შეტაკება მოუხდა ბანდასთან. ჩვენმა ნაწილმა მოასწრო წრის გარღვევა და ბაბას-თუმნის გზატკეცილით უკან დაიწია.

ბანდა მოუახლოვდა არაჭუდეს და ცარბს —თუმნს.

ერეკლეს სული.

(11 იანვარი 1798—1918*).

კიდით-კიდემდე ის დაძწრწოდა შეწუხებული
და ვერ ეპოვა მისაყრდნობი, თავ-შესაფარი!
ერთ წამს მოვლიდა ქვესკნელ ზესკნელს, ზღვასა და ხმელეთს,
ციხე-გალავან-კოშკებს თავზე მოევლებოდა,
ტაძართ გუმბათებს, სამრეკლოებს ყველას სინჯავდა,
ხან ცას ეკვროდა, ხან ქვეყანას ეფინებოდა...
თვალ-ცრემლიანი დაჰხედავდა წინანდელს ბინას,
—ღვაწლით მოსილის დიდებულ გვამს, აწ ჩონჩხათ ქცეულს—
შემცოდესავით, თავ-დახრილი გაჩერდებოდა,
კრძალვით უმზერდა მის სპეტაკ შუბლს, ზეცით კურთხეულს
რისთვის უმზერდა?! ნუ თუ კიდევ იმედი ჰქონდა,
რომ იქ ეპოვნა სამუდამო სამყოფ-სადგური?!
არა და არა!.. მწუხარე სულს სურდა ეამბნა
ქვეყნის ავ-კარგი, დიდი ხნიდან ნასმენ-ნახული...
კარგად იცოდა, დიდ-სულოვნის სპეტაკმა გულმა
საშიში ფიქრი სამარეში თან ჩაიტანა:
ეს იყო გმირის სამშობლოის ბედ-უბედობა,
სა«ჰო-არაო» ძნელ სათქმელი ზმნა-გამოცანა...
«ჰო» ითქვა. მაგრამ... აზატობას ჩვეული ძვლები
სამარეშიაც-კი შეირყა, მიწა დაჰლარა:
მთის შვილსა ლაღსა, სამამაცოდ ნაზარდ-ნაწვართნსა,
გლოვის-ზარივით ჩასწვდა ყურში სხვათა ნაღარა!..
შეიძრა ჩონჩხი! ვაცივებულს პატიოსანს მკერდს
საშხამ-სანაღვლოდ დაუარა ბასრმა დანამ.
და სამუდამოდ დახუჭულმა გმირის თვალებმა
მიწად ქცეული ორი ღაწვი კიდევ დანამა...
და დღეს, როდესაც იმის საფლავს ყველა ადიდებს,
სულიც მათ შორის უჩინარად ნავარდობს, ჰფრინავს,
ჰსურს უთხრას რამე სანუგეშო დანაცრებულ ძვლებს,
მაგრამ ვერ ჰბედავს... ენა ებმის, სწუხსა და ჰგმინავს...
სთქვას თუ არა სთქვას?! არა, ისევ დუმილი უჯობს...
დაე, სხვამ უთხრას თავის ქვეყნის ჭირი და ლხენა,
იმის წმიდა გულს, მწარე ფიქრით ასე მოწამლულს,
მკურნალ მალამოდ მოხვდეს მაინც მშობლური ენა!
«იხარე, გმირო! დაიწყნარე მთრთოლვარე ძვლები,
შენს წმიდა ანდერძს მტკიცედ იცავს შენი ქვეყანა!
და შენც, მსაჯულო, შორს განფანტე შავი ფიქრები:
ქართველის აკვანთან კვლავ გაისმის დედისა ნანა!..» —
დასძახა სულმა დიდებულის გმირის სამარის,
აფრინდა მაღლა, მთვარე-ვარსკვლავთ უთხრა რაღაცა...
და ას წელიწადს უბინაომ, მძრწოლმა, მწუხარემ,
სამკვიდრო ბინად აირჩია მოლაჟვარდე ცა...

განდეგილი.

*) მეფე ერეკლეს გარდაცვალების წლის თავის გამო.

რუსეთის შეთქმულება სოხუმში

აგენტების მიერ შეკრებილ ცნობებით თვენახევრის წინად სოხუმში მოვიდა მონარქისტული ორგანიზაციის აგენტი, მოხალისეთა არმიის პოლკოვნიკი ტურჩანინოვი იმ მიზნით, რომ შეექმნა აფხაზეთში აქტიური მონარქისტული ჯგუფი და აგრეთვე ადგილობრივ აფიცრების მოსაკრებად, მათ გასაგზავნათ მოხალისეთა არმიის ფრონტზე და სხვ. 1919 წლის 9 იანვარს მომხდარი ჩხრეკა და საეჭვო პირებთან აღმოჩენილი დოკუმენტები ამტკიცებენ ამას სისწორით. მათ უპოვნეს მოხალისეთა არმიის ბეჭედი, დამტკიცებულია, რომ მათ დაარსეს აქ აღნიშნული არმია შტაბის განყოფილება პოლკ. ტურჩანინოვის უფროსობით, რომელიც ნახევრად -ძალად ახდენდა რუსის აფიცრების მობილიზაციას და გზავნიდა მათ მოხალისეთა არმიის ფრონტებზე. დამტკიცებულია აგრეთვე, სოხუმში მონარქისტული ცენტრის დაარსება. რომ განეხორციელებინათ რუსეთის კონტრ-რევოლუციონერების მიზნები, რუსეთში მონარქისტული წესწყობილების აღდგენის შესახებ. ნაპოვნია წერილი, რომელიც დაჭერილის შატილოვის სიტყვით ეკუთვნოდა ლეიტენანტ ბურგის მთავარს სერგეის, საცა აღნიშნულია გეგმა ერთ ერთი ყოფილი დიდი მთავრის გამოსვლისა ყირიმში და რომ მზადდებაო მისი მონარქიად გამოცხადება. დაკავებულია მოხსენება სადგომში, საიდანაც სჩანს, რომ მონარქისტებს, აპირებდნენ რა გადაწყვეტილი ჰქონიათ დაეყენებინათ მთელი რუსეთის, საცა კავკასიაც იგულისხმებოდა, სათავეში კონსტიტუციონური იმპერატორი და რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი მართვაგამგეობა უნდა განსაზღვრულიყო მონარქის უფლებით, მინისტრთა უმაღლესი საბჭოთი და ორი უმაღლესი პალატით სათათბირო ხასიათისა. მომავალი მონარქისტული რუსეთის საზღვრები მათი აზრით უნდა ყოფილიყო 1914 წლის საზღვრები. მათი კონტრ-რევოლუციონური განზრახვების ობიექტათ იყო აგრეთვე აფხაზეთი.

გორჩაკოვის რკინისგზის მიღება

გზათამიმოსვლის მინისტრის ამხანაგს და ინგლისის მისიის წარმომადგენელს კ. ბ. დუგლასს გზათა სამინისტროს რწმუნებულმა ღვამიჩავამ იანვრის 20 დეპეშით შეატყობინა, რომ სომეხთა წარმომადგენლები გზათა მინისტრის ინჟ. გულიამცის მეთაურობით წინ ეღობებიან საქართველოს წარმომადგენლებისთვის ნეიტრალ ზონაში ყოფილ ქონების ჩაბარებას. სად. სანაინის ჩაბარების დროს იქ მდგარი ქონებით დატვირთული 9 ვაგონი. სომხები ქონებას აბრუნებენ, მაგრამ ცარიელ ვაგონებს კი არა. საქართ. გზათა სამინისტროს რწმუნებულს ღვამიჩავას ამის გამო პროტესტი განუცხადებია, რადგან თანახმად კონფერენციის დადგენილებისა ნეიტრალ ზონაში დარჩენილი მოძრავი შემადგენლობა საქართველოს უბრუნდება ისევ. დატვირთული ვაგონები ახალ განკარგულების გაცემამდე სანაინშია გაჩერებული.

სადგურებზე საქართველოს რკინისგზის აგენტები მსახურებენ.

სადგურების შენობები მიღებულია.

სომხეთის დელეგაციის ანგარიშსწორება

მთავრობის თავჯდომარეს ნოე ჟორდანიას წარუდგა საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია. რომელმაც სთხოვა ჟორდანიას სომეხ ლტოლვილების გაშვება სამშობლოში. ჟორდანია დაჰპირდა 2 ვაგონის მიცემას ლტოლვილთათვის. შემდეგ სთხოვეს ნება დაერთო, რომ ჩრდილო კავკასიაში მყოფი სომეხი ლტოლვილნი გაატაროონ საქართველოს მიწა-წყალზე, ნ. ჟორდანია დაჰპირდა, რომ როდესაც კი საქართველოში მყოფი სომეხი ლტოლვილნი დაბრუნდებიან სამშობლოში მათაც დაუბრკოლებლივ გავატარებთ საქართველოზეო. ნ. ჟორდანია დაპირდა აგრეთვე მათი თხოვნის ასრულებას, რომ ავჭალის წყალსადენზე სომხები უკანვე მიიღონ.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

ვილგელმის დასჯას მოითხოვენ.

(გაგრძელება) საფრანგეთის მთავრობამ მოკავშირეთა საქმეებში შეიტანა წერილობითი განცხადება. სადაც წმინდა იურიდიული თვალსაზრისითაა განხილული ყოფილ კაიზერის პასუხისმგებლობა სასჯლის სამართლის წინაშე. განცხადება შეადგინა პარიზის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის დეკანმა ლორნოდომმა და იმავე უნივერსიტეტის პროფელეპრადელმა. მოხსენების ავტორები ამტკიცებენ. რომ შეუძლებელია მთელი საზოგადოების დასჯა, შეიძლება მხოლოდ საზოგადოების მეთაურის დასჯა. ხოლო ეთ ასე არ შეიძლება მთელი გერმანიის ერის დასჯა. მაგრამ შეიძლება კაიზერის დასჯა რომელსაც გერმანიის კონსტიტუცია პასუხისმგებელს ხდის მის მოქმედებისთვის. იმპერატორი, როგორც პრუსიის მეფე კონფედერაციის თავმჯდომარეა თავის უფლებით- ,,მონარქი ემორჩილება მხოლოდ ღმერთსა და საკუთარ მახვილს''. ძალა უფლების ამნაირად გაგების შემდეგ არა იურიდიული იქნებოდა, რომ იმპერატორი გავანთავისუფლოთ პასუხისმგებლობიდან მისი მოქმედებისთვის. მან დაიწყო ომი, რომლის გამოცხადების უფლება კონსტიტუციის ძალით მხოლოდ მას ქონდა, მისი სურვილისამებრ დაარღვიეს ბელგიის ნეიტრალიტეტი, კაიზერის ჯარებმა მისი ბრძანებით მოახდინეს მრავალი ტერორისტული აქტები.

გარდა ამისა, რომ კაიზერი კონფერენციის მეთაურია, ის ომის ხელმძღვანელი იყო გერმანიის საზოგადოებრივ უფლების თეორეტიკოსი პოლ. ლაბი ამტკიცებს, რომ გერმანიის კონსტიტუცია იმპერატორისა და ჯარის შუა არა დგას ამნაირად არის უფრო მნიშვნელოვანი საბუთი იმპერატორის პასუხიმგებლობისა. ამის შესახებ მოხსენებაში მოყვანილია დოკუმენტი ვილველმ მე 11-ის საშინელ ცინიზმისა და მისი დანაშაულობის შესახებ. ეს არის ომის პირველ დღეებში ფრანსუა ჟერდისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიაც შემდეგია ნათქვამი: ,,სული ტანჯვის, მაგრამ ყველაფერი ცეცხლითა და მახვილით უნდა გავანადგუროთ, დავხოცოთ მამა კაცები, ქალები, ბავშვები და მოხუცნი, არ უნდა იქნეს დატოვებული არც ერთი სოფელი არც ერთი ქოხი.

გერმანიის მთავრობა და რუსის ბოლშევიკები.

გერმანიის მთავრობამ ენერგიული პროტესტი გაანაცხადა იმის გამო, რომ რუსის ბოლშევიკები ეხმარებოდენ სპარტაკელებს. გერმანიის მთავრობა სასტიკ ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს მიიღებს გერმანიაში მცხოვრებ იმ რუსების წინააღმდეგ, რომელნიც სპარტაკელების დახმარებაში შემჩნეულნი იქნებიან.

უკრაინა და საბჭოთა მთავრობა.

უკრაინის დირექტორიამ ნოტით მიმართა საბჭოთა მთავრობას და უკანაკნელათ მოსთხოვა 48 საათის განმავლობაში პასუხი შემდეგ კითხვებზე: 1) თანახმაა თუ არა რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა დაუყონებლივ შესწყიტოს საომარი მოქმედება უკრაინის რესპუბლიკის წინააღმდეგ. 2) თუ თანახმაა, დაუყონებლივ გაყვანილ იქმნას უკრაინის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარი თავის მხრით უკრაინის დირექტორია მზათაა აწარმოვოს საზავო მოლაპარაკება რუსეთის წარმომადგენლებთან და შეუდგეს საქონლის გაცვლას რუსეთთან თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნა მიღებული პასუხი, უკრაინის რესპუბლიკა ჩასთვლის ამ გარემოებას ოფიციალურ ომის გამოცხადებათ.

ლოიდ ჯორჯის და ბეირისის გამგზავრება.

ლოიდ ჯორჯმა დაე ბეირისმა კვირას დაათვალიერეს ბრძოლის ველი შამპანში; იქიდან რეიმსსა და შატოტიერში გაემგზავრენ.

პროექტი ფინანსიურ კონვენციისა ჰოლანდიასა და მოკავშირეთა შორის.

გაიგა: მთავრობამ წარმოადგინა პროექტი კონვენციის რატიფიკაციის შესახებ, რომელიც 1918 წლის 5 და 6 დეკემბერს დადებულია ერთის მხრივ ნიდერლანდებსა და მეორეს მხრით ინგლის, საფრანგეთ, იტალიის და შეერთებულ შტატებს შორის, რომ ამ კონვენციის ძალით მოახდინონ ფინანსიური განკარგულება.

გერმანიის ქონების ჩაბარება.

მარშალი ფოში იუწყება, რომ მიმღებმა კომისიებმა ჩაიბარეს ორთქმავალები და ვაგონები, რომლებიც სახელმწიფო რკინის გზის ინვენტარში იქნება შეტანილი.

არჩევნები პოლონეთში.

ვარშავა. არჩევნები ამ ჟამად პოლონეთის შინაურ ცხოვრების უმთავრეს საკითხს შეადგენს.

წესრიგის აღსადგენათ და წესიერ ურთიერთობის დასამყარებლად მთავრობას სურს ხელი შეუშალოს დიეტის მოწვევის გადადებას. დეიტას აირჩევენ საყოველთაო არჩევნების უფლებით, თანასწორ ფარულ და პირდაპირ ხმის მიცემით და პროპორციონალურ წარმომადგენლობის შემოღებით. ქალები სარგებლობენ მხოლოდ აქტიურ ამომრჩევლების უფლებით. 9 იანვარს კანდიდატთა სიები წარედგინა ამომრჩეველთა კომისიებს. ამომრჩეველთა პირველი-ბლოკი ვარშავაში შესდგა. პირველ ბლოკში შედის: რესპუბლიკის კომიტეტი, ცენტრალური დემოკრატიული კომიტეტი, მუშათა პროფესიონალური კომიტეტი სავაჭრო კომიტეტი და ბიურო. მეორე ბლოკში: ბურჟუაზიული ინტელიგენცია, მემარჯვენე ელემენტები და ქრისტიანი დემოკრატია. სოციალისტები საკუთარ სიით გამოდიან. არჩევნებისადმი ინტერესი თანდათან იზრდება. არჩევნები მთელს ტერიტორიაში მოხდება. (დამახინჯებულია)... და გალიციაში. აღმოსავლეთ გალიციაში და პოზნანში სამხედრო მოქმედების გამო არჩევნები არ მოხდება. ეს ოლქები დიეტაში წარდგენილი იქნებიან ყოფილ რეიხსტაგის და რეიხსტრატის დეპუტატებით.

საზავო კონფერენცია.

იტალიის საზავო დელეგაცია.

— იტალიის დელეგატები საზავო კონფერენციაზე: საბჭოს თავმჯდომარე ორლანდო, სალანდრა და ბარზილაი ორშაბათს პარიზში ჩამოვიდენ. მათ სადგურზე დახვდა იტალიის ელჩი და საელჩოს მთელი შემადგენლობა.

ვილსონის მოადგილე პარიზში.

ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ პრეზიდენტ ვილსონს განზრახული აქვს დანიშნოს მეხუთე დელეგატი, რომელიც მის ადგილს დაიჭერს პარიზში თებერვლის დასაწყისიდან, როცა თვითონ ამერიკაში დაბრუნდება. მეხუთე დელეგატათ ის აირჩევს ალბათ ყოფილ პრეზიდენტ ტაფტს ან...(გამოტოვებულია)...

საზავო კონფერენციის დელეგატები.

პარიზში ორშაბათს დაიწყო საზავო კონფერენციის დელეგატთა მანდატების შემოწმება. დაინიშნა ახალი დელეგატები. ინგლისის მეხუთე დელეგატათ დაინიშნა ახალმიწის პრემიერ მინისტრი ლოიდი; კანადის დელეგატებია ვაჭრობის მინისტრი ფოსტერი და საბაჟოთა მინისტრი სისტოკი; ავსტრიის დელეგატები: პრემიერ მინისტრი იუგსი და საბაჟოთა მინისტრი კლეკი, სამხრეთ აფრიკის დელეგატები: მაჰაჩაჯა, ლეკაშირი და ლორდი სინლი; ბელგიამ გაგზავნა როვლმენი და ჟაკემენი.

განცხადება

ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, რომ 14 ამ იანვარს მე დავაარსე კომისია ქალაქ თფილისის მილიციის საქმეების სარევიზიოდ და მილიციის მოხელეთა ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად. კომისიაში შედიან თფილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს ბრალმდებელნი, მათი ამხანაგები, მთავრობის იურისკონსულტი, საქართველოს პარლამენტის წევრნი და სხვები.

ბოროტების ძირშივე აღმოსაფხვნელად და დამნაშავეთა დასასჯელად მოვუწოდებ ყველას, ვინც დაზარალებულა მილიციის მოხელეთა უკანონო მოქმედებით, ან ვისაც რაიმე ცნობები აქვს იმათ მიერ ჩადენილ ბოროტების შესახებ, გაუცხადონ ამის შესახებ ზემოთ აღნიშნულ კომისიას.

მთავრობის თავმჯდომარე — ნ. ჟორდანია

14 იანვარი, 1919 წ.

ქ. თფილისი.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, თანახმად საარჩევნო კანონის მე-13 მუხ., რომ ქალაქის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია მიმდინარე წლის 2 თებერვალს, დილის 9 საათითან საღამოს ცხრა საათამდე.

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ ამა წლის 21 იანვრიდან საუბნო სასურსათო კომიტეტში დაიწყება იანვრის, თებერვლის და მარტის სასურსათო ბარათების დარიგება. ბარათები დაურიგდებათ მხოლოდ სარაიონო და ბინის კომიტეტებს, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინონ: 1) ახალი ბინის წიგნები, 2) ახალი ბინის სარეგისტრაციო უწყებანი ორ ფურცელზე გადაწერილი, რომლებიც უნდა შეამოწმონ საუბნო სასურსათო კომიტეტებმა, 3) ძველი სასურსათო ბარათები, 4) პიროვნების ვინაობის მოწმობები. მოწმობად ცნობილია: ა) პასპორტი, ბ) მეტრიკული ამოწერილობა, გ) მოწმობა მილიციის უფროსისაგან მოცემული, დ) მოწაფეთა ბილეთი, ე) მოწმობები სხვადასხვა ეროვნულ საბჭოებისაგან მოცემული, თუ უკანასკნელთ აქვთ საკონსულო დაწესებულებათა ხასიათი. სამკურნალოები, თავ-შესაფარი ბინები, პანსიონები და სხვა მაგვარი დაწესებულებანი მიიღებენ ბარათებს საბარათო განყოფილებაში.

(2—2) სასურსათო განყოფილება თფილისის ქალაქის გამგეობისა.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ოთვლ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაზეთს ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18—31. კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახახლის ქ. № 6.

მესილეთა ამხანაგობა „ქართლი“

ამით აცხადებს, რომ მის საწყობებიდან იყიდება დიდძალი ხილი ვაგონოებით და ფუთოებით

რეგორც ყურძენ ჰირთა, ისე დაწესებულებათათვის ფრიად ხელმისაწვდომ ფასებში.

იარმუკაში, მუხრანიანთ სახლი ამხ. „ქართლი“.

ქართული ლატარია.

მოქალაქენო, ნუ აგვიანებთ ბილეთების შეძენას!

„კლდის“ ბიბლიოთეკა:

დაიბეჭდა ნაწერები:

„ნაც.-დემოკრატიული პარტია.“ დავით ვაჩნაძის

„უდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“ მიხეილ მაჩაბელის

„მიწის საკითხი“ ფალვა ჭარუმიძის

საგლეთო სკოლის სწავლების გაუქმება.

თითო წიგნის ფასი 15 შაური.

საქართველოს მეურნეობა-მიწის მესაკუთრეთა პავშირის საბჭო.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წერილთ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის დალმართი № ხ. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუდამ დღე 11—1 საათამდე, კვირა უქმის გარდა.

ექ. დ. ჯავახიშვილი

ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.

ტელეფ. № 14—09.

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—73.